



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„მტკვარი ენერჯი“



მტკვარი ენერჯი

„მტკვარი ენერჯი“ (შპს), თბოელექტროსადგური გარდაბანში. ექსპლუატაციაში შევიდა 1989. საპროექტო სიმძლავრეა 300 მეგვტ. ამ ნიშნით იგი ყველაზე მძლავრი თბოსადგურია საქართველოში. მესაკუთრე – შპს „ჯიაიჯი ენერჯი“. თბოელექტროსადგური მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნისათვის ელექტროენერჯის მიწოდებაში. 2018 მან გამოიმუშავა 620,1 მლნ. კვტ·სთ, რ-იც ქვეყნის საერთო გამოიმუშავების 5,1%-ს, ხოლო თბოსადგურების ჯამური გამოიმუშავების 36,5%-ს შეადგენდა. ცალკეული წლების მიხედვით „მ. ე-ს“ გამოიმუშავება უდრიდა (მლნ. კვტ·სთ): 2010 წ. – 570,5; 2015 წ. – 1212,0; 2016 წ. – 816,8; 2017 წ. – 743,2; 2018 წ. – 620,1; 2019 წ. – 889,7; 2020 წ. – 355,3; 2021 წ. – 278,5; 2022 წ. – 770,9; 2023 წ. – 602,0; 2024 წ. – 184,2; 2025 წ. – 603,18, რაც ქვეყნის საერთო გამოიმუშავების 4,4 %-ს, ხოლო თბოსადგურების ჯამური გამოიმუშავების 21,8 %-ს შეადგენდა.

დ. ჩომახიძე